დამტკიცებულია:

ა(ა)იპ საერთაშორისო აკადემია ბიდისის

დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N 6 ბრძანებით

ა(ა)იპ საერთაშორისო აკადემია ბიდისი

პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმი

თბილისი

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის (შემდგომში აკადემია) პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს აკადემიაში პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის, პერსონალისთვის, ვიზიტორებისთვის

1.2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.

მუხლი 2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი

2.1. აკადემიაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის დირექტორის მიერ განპიროვნებულია სპეციალისტი, რომლიც უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას.

2.2. აკადემია უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო ინვენტარით.

2.3. აკადემიის პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის და პერსონალისთვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია - პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ნომერი.

2.4. სატელეფონო შეტყობინებას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეუძლოდ ყოფნის თაობაზე ახორციელებს აუდიტორიაში მყოფი პროფესიული მასწავლებელი ან მისი დავალებით რომელიმე პროფესიული სტუდენტი/მსმენელი.

2.5. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება - პასუხისმგებელი პირის ადგილზე შესაძლებლობის ფარგლებს, მის მიერ გამოძახებული იქნება სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გატარდება შესაბამისი ზომები.

მუხლი 3. პირველადი გადაუდებელი დახმარების სპეციალისტის უფლება - მოვალეობები

3.1. პირველადი გადაუდებელი დახმარების სპეციალისტი უფლებამოსილია:

3.1.1. აკადემიის დირექტორს მოსთხოვოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო ინვენტარის და მასალის შეძენა (წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, ბამბა, ბინტი, ანტისეპტიკური საშუალებები, პირადი ჰიგიენის ნივთები).

3.1.2. აკონტროლოს სამედიცინო ინვენტარის ვარგისიანობა, მათი ხარისხი, შენახვა და გაცემა;

3.1.3. პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, გაათავისუფლოს პროფესიული სტუდენტი/მსმენელი მეცადინეობიდან, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით და დაუკავშირდეს მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს.

3.2. პირველადი გადაუდებელი დახმარების სპეციალისტი ვალდებულია:

3.2.1. აკადემიის პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, საჭიროების შემთხვევაში ვიზიტორებს ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში (ტრავმა, ნებისმიერი სახის დაზიანება) გაუწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება.

3.2.2. აუცილებლობის შემთხვევაში აკადემიის პირველადი გადაუდებელი დახმარების სპეციალისტმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარების ბრიგადა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას, ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:

1. საკუთარი ტელეფონის ნომერი;
2. აკადემიის მისამართი;
3. რა შემთხვევას აქვს ადგილი და რამდენად სერიოზულია ის;
4. დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;
5. ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

3.2.3. უზრუნველყოს აკადემიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

3.2.4. უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი აკადემიის სველი წერტილების, შენობის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, შეიმუშაოს წინადადებები და წარუდგინოს აკადემიის დირექტორს.

3.2.5. კომპეტენციის ფარგლებში გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

3.2.6. საჭიროების მიხედვით უზრუნველყოს/დახმარება გაუწიოს შშმ და სსსმ პირებს.

3.2.7. აკადემიის პირველადი დახმარების საშუალებებზე, მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელობა ეკისრება პირველადი გადაუდებელი დახმარების სპეციალისტს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის აკადემიის დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.